



## სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 2 აგვისტო, 2017 წელი

დრო: 11:00 – 13:00 საათი

შეხვედრის ადგილი: სასტუმრო „ციტადინი“

### შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. კახა გოგოლაშვილი, სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის თანათავმჯდომარე, რონდელის ფონდი
2. ლაშა ტულუში, ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი
3. ნინო ჩხობაძე, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა
4. ნინო ელიზბარაშვილი, ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“
5. ალექსანდრა კალატოზიშვილი, ფონდი ”სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი”
6. მანანა წულაია, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია ელკანა
7. მანანა დევიძე, ფონდი კავკასიის ეკოლოგია
8. დავით ცისკარიძე, საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი (IBEDC)
9. ლაშა ბლიაძე, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
10. ვიტალი გიორგაძე, საქართველოს რკინიგზელთა ახალი პროფესიული კავშირი

### განსახილველი საკითხები:

- სამომავლო გეგმები
- თავმჯდომარის არჩევა
- სხვა.

შეხვედრა გახსნა სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის თანათავმჯდომარემ, ბატონმა კახა გოგოლაშვილმა და დამსწრეებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი. წევრებმა განიხილეს ფონდების მიერ შესარჩევი 3 წევრის საკითხი. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია დროულად მოხდეს დამატებითი სამი წევრის შერჩევა. სასურველია, სექტემბრის დასაწყისში.

თანათავმჯდომარის არჩევნებთან დაკავშირებით, დამსწრეებმა მიიღეს გადაწყვეტილება, მას შემდეგ რაც პლატფორმა სრული შემადგენლობით ჩამოყალიბდება ჩატარდეს არჩევნები.

წევრებმა ასევე განიხილეს პლატფორმის შემდეგი შეხვედრის ორგანიზების საკითხები. სავარაუდო თარიღად გადაწყდა ნოემბერი. ერთობლივი განცხადების შემუშავებაზე მსჯელობისას, ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისის წარმომადგენელმა, ბატონმა ლაშა ტულუშმა გააჟღერა წინადადება განცხადების ტექსტში ჩაიწეროს მოთხოვნა საქართველოს ევროპული პერსპექტივის შესახებ. მსჯელობის შემდეგ, ერთობლივი განცხადების მთავარ საკითხებად გამოიკვეთა სამი ძირითადი იდეა - მოითხოვონ:

- ევროპული პერსპექტივა მიენიჭოს საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინას;
- დაიწყოს შექმნა „ევროპის ეკონომიკური ზონა +“ -ის მოდელის ( European Economic Area (EEA) + ), სადაც საქართველო, მოლდოვა და უკრაინა ჩაერთვება;
- დაჩქარდეს პროგრამა: „პარტნიორობა მობილობისთვის“ (Mobility Partnership) სამივე ქვეყანაში ( საქართველო, მოლდოვა და უკრაინა )

ასევე, გამოითქვა მოსაზრებები, რომ სამივე საკითხი შესაძლოა გაერთიანდეს ერთ განცხადებაში. გარდა ამისა, აღნიშნულ განცხადებას შემოუერთდნენ მოლდოვისა და უკრაინის შესაბამისი ორმხრივი პლატფორმები (ქვეყანა-ევროკავშირი). თავს მხრივ, თავმჯდომარემ გამოხატა მზაობა, რომ როგორც კი ერთობლივი განცხადების ტექსტი განიხილება სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის ჯგუფებში და მიიღწევა შეთანხმება ერთობლივი განცხადების საბოლოო ვერსიაზე, თავად წარუდგინოს იგი მოლდოვისა და უკრაინის პლატფორმების ეროვნულ თანათავმჯდომარეებს და გასწიოს ლობირება. აღნიშნულ პროცესში გარკვეული წინააღმდეგობების წარმოქმნის შემთხვევაში, განცხადების ალტერნატიულ ვერსიად ასევე მოიაზრება აღნიშნული საკითხების მოთხოვნა მხოლოდ საქართველოსთვის და განცხადების ქართულ-ევროპული პლატფორმის სახელით გავრცელება. შეხვედრაზე ასევე განიხილეს წინადადება - ოქტომბერში დაგეგმილ ყოველწლიურ კრებაზე გააჟღერონ აღნიშნული ინიციატივა და ერთი და იგივე ტექსტი ან იგივე შინაარსის მატარებელი სხვა განცხადება გავრცელდეს, როგორც ბილატერალური პლატფორმების, ასევე აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ეროვნული პლატფორმების ან სრულიად ფორუმის სახელით.

ასევე წევრებმა ისაუბრეს ევროპის ქვეყნების ელჩებთან შეხვედრების აუცილებლობაზე და მიიღეს გადაწყვეტილება დაიგეგმოს აქტიური ადვოკატირების კამპანია.

ერთსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა.